3338

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
		მან.
ერთის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 მ. 50 კ.	— 2 —

პირველი წელიწადი

ზამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და ქამბ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

275

Ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და ქამბ. სტამბაში.

№ 24. სამშაბათი. I. 13 აგვისტოს 1868 წ.

შინაარსი: სამღრთო ისტორია. — საოჯახო ცნობები. — სამეცნიერო ცნობები. — მოგზაურთ სადგური უდაბნოში (დასასრული). - სხვა და სხვა ამბავი. — არითმეტიკა. — სახაზინო განცხადებაები. —

განცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შემოუტანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის“ ფასი, მალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ე ქ ვ ს მანეთია.

სამღრთო ისტორია.

9.

სოდომი და ბომორი.

ერთ საღამოს ორი ანგელოზი მივიდა სოდომს. ლოთმა უბრალო მოგზაურებად მიიღო ისინი, გამოეგება და გულს მოდგინებით სთხოვა იმღამეს იმასთან დამდგარიყვნენ; ანგელოსებმაც მიიღეს იმის მიწვევა. სოდომის მცხოვრებთ რომ შეიტყეს ეს ამბავი, მოადგნენ ღამე ლოთის სახლს და მოსთხოვეს იმისი ორი სტუმარი. ხალხი იქამდის გამძვინდა, რომ აპირობდა ლოთის სახლის შემტვრევას და იმ მოსულების ძალით გამოყვანას; მაგრამ ანგელოზთ სხვიმა ისე დაუბნელა იმათ თვალები, რომ ლოთის სახლის კარებიც ვეღარ იპოვნეს. მაშინ სტუმრებმა უთხრეს ლოთს: „თუ უკვე გყავს ვინმე ამ ქალაქში მახლობელი ანუ ნათესავი, მსწრაფლად გაიყვანე აქედგან, ვინაიდგან ჩვენ ღვთისაგან მოვლენილი ვართ შესამუსრავად ქალაქისა ამის“. ლოთმა გამოუცხადა ეს ამბავი თავის მომავალ სიძეებს, მაგრამ იმათ სიცილათაც არ ეყოთ ესა.

დილით, ცისკარი ამოვიდა თუ არა, ანგელოზები აშურებდნენ ლოთს გასვლისთვის, და რადგან ლოთის სახლობა იგვიანებდა, იმათ დაუჭირეს ხელი ლოთს, იმის ცოლს და შვილებს, და ქალაქს გარეთ გაიყვანეს და უთხრეს: „ახლა კი დაიფარეთ თქვენი თავები და უკან ნუღარ მოიხედავთ და ნუღარც ამ ალაგებში დასდგებით სადმე“. მზე რომ ამოვიდა, ლოთი შევიდა სიგორში. მაშინ ღმერთმა ზეციდამ ცეცხლის წვიმა დაუშვა სოდომსა და ბომორზედ და სრულებით აანაცრა ისინი. სადაც უწინ მშვენიერი ველი იყო, იმ ალაგას ეწოდა მ კ ვ დ ა რ ი ანუ მ ლ ა შ ე ზღვა არის. — ეს მხარე ჯერ ეხლაც ისევ წარმოუდგენს მხილველს იმ საუბედურო მაგალითს, თუ ღმერთი რა რიგათა სჯის უსჯულოებას. — ლოთის ცოლიც აგრეთვე წარმოგვიდგენს ჩვენ დასჯილი გაუგონრობის ძეგლს: იმან არ შეისმინა ანგელოზების გაფრთხილება, მოიხედა უკან, და ამის გამო იქცა მარილის სვეტად.

10.

იზმაელი.

აბრაამი ოთხმოც-და-ექვსი წლისა იყო, როდესაც აგარისაგან ვაჟი შვილი ეყოლა; ამას სახელად იზმაელი დაარქვეს. ამას შემდეგ გაიარა თორმეტმა წელიწადმა და უფლის აღთქმისამებრ სარრამ ისაკი შობა. რადგან მოსამსახურის შვილმა თავის ძმას, ისაკს წყენა დაუწყო, ამისგამო სარრამ უთხრა აბრაამს, რომ გაეგდო მონა აგარი თავის შვილითურთ. აბრაამს ეწყინა ეს სიტყვები, მაგრამ ღმერთმა უთხრა იმას: „ნუ იქნება საწყენოდ შენდა, რაიცა უნდა ჰხვდეს იზმაელს და მონასა შენსა. დაუჯერე, რასაცა გეტყვის შენ სარრა, ვინაიდგან ჩამომავლობა შენი იწარმოებს იზაკის თესლიდგან. ბარნა მონისა შენისა შვილისაგანაც მრავალ ხალხს დაებადებ, ვინაიდგან იგიცა თესლი შენი არს“.

მაშინ აბრაამმა თავის მონას აგარს პური და ტიკით წყალი მისცა და თავის შვილი — ისმაელითურთ გაისტუმრა სახლიდგან. — აგარი რომ წავიდა, გზა ვერ გაიგნო და ერთ უდაბურ ალაგას ხის ძირს დარჩა; ამ ალაგას სულ არა იშოვებოდარა. წყალი სრულებით გამოელია იმას და რადგან ვეღარსად იშოვნა, წყურვილმა ძალიან შეაწუხა იზმაელი. აგარმა ვეღარ შესძლო თავის შეწუხებული შვილის ყურება, დაჯდა ცოტა მოშორებით და სთქვა: „ვერ ეუყურებ ჩემი შვილის სიკვდილს“. მაშინ ისმინა ღმერთმა ხმა ყრმისა იზმაელისა და ანგელოსმა უთხრა აგარს: „რა დაგემართა, აგარ? ნუ გეშინინ!“ ამ დროს უფალ-

მა აუხილა Აგარს თვალები და დაანახვა წყარო; Აგარმა ამოიღო იქიდგან წყალი და დაალევინა თავის შვილს.

Იზმაელი გაიზარდა და ერთ უდაბურ მინდორზე დასახლდა. Ღმერთმა დაჯილდოვა იგი მრავალ-რიცხოვანი ჩამომაელობით. Იმისგან წარმოსდგნენ იზმაელები, არაბები და ზოგიერთი სხვა ხალხები, რომელნიც ეხლა სცხოვრებენ ერცელი Აზიისა და Აფრიკის მიწებზედ.

11.

Ისააკი.

Ამას შემდეგ Ღმერთს უნდოდა Აბრაამის გამოცდა და უთხრა მას: „Აიყვანე ძე შენი Ისააკ, წარვედ მორიის მიწაზედ და იქ ერთ მთაზედ, რომელსაც მე გიჩვენებ ენ, მომიტანე მე მსხვერპლად“. Აბრაამი ადგა დილით ადრე, შეკაზმა ჯორი, აიყვანა ორი მონა და Ისააკი და დაადგა გზას. მესამე დღეს შორიდგან რომ დაინახა დანიშნული ალაგი, მოწნები და ჯორი იქ დაყარა და თითონ კი აჰკიდა Ისაკს შეშა, აიღო დანა და ცეცხლი და წავიდა Ღვთისაგან დანიშნულ მთისკენ. Გზაზედ ჰკითხავდა Ისააკი: „მამა ჩემო! ცეცხლი და შეშა კი გვაქვს, მაგრამ ცხვარი სადღა გვყავს მთლად-დასაწველი“? Აბრაამმა უპასუხა ამაზედ: „Ღმერთი თვით ჰპოვებს თავისთვის კრავსა, შვილო ჩემო!“—და წავიდნენ დანიშნული მთისკენ.

Როცა მიუიდნენ, Აბრაამმა ააშენა საკურთხეველი, დაწყო ზედ შეშა, მერე შეკრა Ისაკი და დადო შეშაზედ და გაიწოდა თუ არა ხელი თავის შვილის დასაკლავად, უეცრივ მოესმა იმას ხმა ზეციდგან: „Აბრაამ! Აბრაამ! არა შეახო ხელი შენი ყრმასა მაგას. Რამეთუ აწ ესცან—კაცი ხარ მოშიში Ღეთისა, რომელმან მორჩილებისათვის ჩემისა არა ჰრიდე ძეცა შენი საყვარელი.“ მაშინ Აბრაამმა დაინახა კრავი, რომელიც რქებით გახლართულიყო ტყეში, და თავის შვილის მაგიერად ეს კრავი შესწირა Ღმერთს.

Ანგელოზმა კვალად დაუძახა ზეციდგან Აბრაამს და უთხრა: „ეფიცავ ჩემზედა, ამბობს Უფალი, საქმისა მაგისთვის, რომელი ჰყავ, კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებითა განვამრავლო ძე ეგე შენი, ვითარცა ცის ვარსკვლავნი და ზღვის ქვიშანი და ყოველი ხალხი ქვეყნისა თესლისა მიერ შენისა იკურთხებოდის“.

12.

Სარასი კვდილი და დასაფლავება.

Ასი წელიწადი იცხოვრა Აბრაამმა ქანაანის მიწაში, მაგრამ ჯერ კიდევ არა ჰქონდა საკუთარი მიწა. Იმისი ფარები ერთი ალაგიდგან მეორე ალაგზედ გადადიოდნენ და თითონაც უცხოსავით იყო ქანაანელებში. Ამ დროს Აბრაამს მოუკვდა თავისი ცოლი Სარრა. Იმის გვამის დასამარხავად Აბრაამმა სთხოვა ხეთთელთ თავადთ მიწის გაყიდვა, მაგრამ ისინი არ დასთანხმდნენ იმას ამ გვარ თხოვნაზედ, და მიწას მუქთათ აძლევდნენ. Ბოლოს ერთმა ხეთთელმა თავადთაგანმა, Ეფრონმა, მიჰყიდა Აბრაამს მიწა ოთხას თეთრ დიდრახმად. Აბრაამმა ამ ნასყიდ მიწაში დასაფლავა თავისი ცოლი Სარრა ერთ გამოქვაბულში, ხერონის ახლოს, Მამბრის პირდაპირ.—

13.

Ისააკისაგან ცოლის შერთვა.

Აბრაამმა გაგზავნა Მესოპოტამიაში ერთი თავისი ერთგული მონა და შეუკვეთა იმას თავისი შვილი Ისააკისათვის ცოლის შოვნა. Მონა წავიდა ათი დასაპალნებული აქლემით, რომლებზედაც ეკიდა სხვა და სხვა ნივთები; ეს ნივთები Ისააკის საცოლოსათვის საჩუქრად იყვნენ დანიშნულნი.

Ღამდებოდა, როდესაც Აბრაამის მონა ქანაანის ქალაქში მივიდა. Იმან იცოდა, რომ ამ დროს ქანაანელი ქალები წყლისათვის გამოვიდოდნენ, და ამის გამო დააყენა აქლემები აუზთან და გულში ამ სიტყვებით ლოცულობდა: „Უფალო Ღმერთო! იყავ ჩემი ბატონის მოწყალე. აი მე დავდექ ამ აუზთან, სადაც ქალაქის მცხოვრებთ ქალები მოდიან. Რომელსაც მე ვსთხოვ წყალს და რომლისაგანაც პასუხად მიეიღებ: შენც დალიე და შენს აქლემებსაც დავალევინებ—ის იყოს დანიშნული შენი მონის Ისაკის საცოლოდ!“

Ჯერ არ დაესრულებინა თავისი ლოცვა, რომ ქალაქიდგან გამოვიდა წყლისათვის ბათუელის ქალი, Რებეკა. Მონამ უთხრა მას: „მასვი წყალი მაგ შენი ჭურჭლიდგან“. Ამაზედ ქალმა უპასუხა: „მიირთვი, ბატონო ჩემო; შენ აქლემებსაც დავალევინებ!“ და იმას რომ დაალევინა, მერმე აქლემებსაც ამოუღო აუზიდგან და იმათაც ასვა. Აბრაამის მონას ძალიან უკვირდა, რომ Უფალმა იმისი ლოცვა ასრე მალე შეისმინა. Მაშინ ამოიღო ოქროს საყურები და სამაჯები და ჰკითხა: „ვისი ქალი ხარო?“ Იმან უპასუხა: „მე ვარ ნახორის-შვილის, ბათუელის ქალიო“. Ნახორი კი Აბრაამის ძმა იყო. Მაშინ მონა Აბრაამისა Უფლისა წინაშე დაემხო დედამიწას და დაიწყო ლოცვა: „Ადურთხეველ არს Უფალი, რომელი ჩემს ბატონს თვის მოწყალებას არ აკლებს და რომელმა მომიყვანა მე ჩემი ბატონის ძმის სახლში“. Ამას შემდეგ ის წავიდა Რებეკას მამის სახლში და გამოუცხადა იმათ თავისი მოსვლის მიზეზი. Ის მიიღეს ძალიან კეთილი გულით და დასთანხმდნენ იმის მოსვლის განზრახვაზედ, ესე იგი იმაზედ, რომ თავიანთ ქალი Ისააკისთვის მიეთხოვებინათ; მხოლოდ კი სთხოვეს იმას, რომ ჯერ ცოტახანს კიდევ ესტუმრა იმათთან. Მაგრამ რადგან მონამ უარი უთხრა ამაზედ, მაშინ ჰკითხეს Რებეკას: „წაჰყვები ამ კაცსაო?“ და რაკი Რებეკამ თანხმობა აღმოაჩინა იმის წაყოლაზე, მაშინ მშობელთ დალოცეს და უთხრეს: „Გამრავლდი ათასად და იყოს შენი თესლი ამ ქალაქის მებრძოლთა მემკვიდრედ.“ მაშინ მონამ წაიყვანა Რებეკა თავის ბატონის სახლში.

14.

Ესაბ და Იაკობ.

Ისააკი ორმოცის წლისა იყო, როდესაც Რებეკა შეირთო ცოლად, სამოცი წელიწადი რომ შეესრულდა, მაშინ იმას ეყოლა ორი ტყუპი შვილი, რომელნიც არა ჰგვანდნენ ერთმანერთს—არც სახით და არც ხასიათით. Ერთ მათგანს ერქო Ესაბ და მეორეს—Იაკობ. Ესაბი იყო სასტიკი ხასიათისა, Იაკობი კი მშვიდი და გულჩვილი იყო. Ესაბი მონადირობდა, Იაკობს თავის მამა-პაპის ხელობა ეჭირა, ესე იგი მწყემსობდა. Ისაკს Იაკობი უფრო უყვარდა, რადგან იმის ხელობა უფრო მოსწონდა; Რებეკასაც აგრეთვე Იაკობი ერჩიენა. Ესაბს. Ერთხელ Ესაბი დაღალული მოვიდა ნადირობიდგან და თავის ძმას Იაკობს ოსპის შეჭამადის ჭამაზედ მოასწრო. „Ცოტა მაგ შენ ჭამადისა მაჭამე, თორემ სიმშილითა ვკვდებიო“ უთხრა Იმან Იაკობს. Იაკობმა უპასუხა: „Ჯერ მომეცი შენი პირმშოობაო“. (Პირმშოობასთან მაშინ მრავალი პატივი იყო შეერთებული). Სუსტ ხასიათიანმა Ესაბმა უთხრა: „ხომ მხედავ სიმშილით ლამის მოვკვდე, რაღას ვაქნევ ჩემს პირმშოებას?!“ და ამ სახით Ესაბმა თავი

უმცროსს ძმას იაკობს მისცა თავისი პირმშოობა, და ფიცითაც დაუმტკიცა იგი.

ისააკი რომ მოხუცდა და სიკვდილის დროც მოუახლოვდა, დაუძახა ესაბს და უთხრა: „აი, ხომ ხედავ, მე დავბერდი და სიცოცხლის დღეები შემომცირდნენ. წადი სანადიროდ, მოიტანე ნადირი რამე და ჩემი საყვარელი საჭმელი მომიმზადე; მაშინ მე გაკურთხებ შენ“. ეს სიტყვები გაიგონა რებეკამ. ესაბი რომ სანადიროდ წავიდა, რებეკამ დააკვლევინა ჩჩეული თიკანი, რაღაცა საჭმელი მოამზადა და მისცა იაკობს, რომ მამისთვის მიერთმევინა. რებეკა დარწმუნებული იყო, რომ სიბერის გამო დაბრმავებული ისააკი მიიღებდა ესაბად და აკურთხებდა, როგორც პირმშო შვილს. იაკობი დაეთანხმა თავის დედას, აიღო საჭმელი, შეუტანა მამას და უთხრა: „მამა ჩემო!“—„რომელი ხარ, შვილო?“ ჰკითხა ისააკმა. „მე ვარ, ესაბი, შენი პირმშო შვილი.“ უპასუხა იაკობმა, ისე როგორც დედამ დაარიგა. „აღზდეგ ჯმე ნანადირევი ჩემი, და მაკურთხოს ხელმა შენმა“. მაშინ ისააკმა მიუთხრა: „მოუსო ხელი იაკობს, რადგან თვალით ვეთვალარას ხედავდა და ხელის მოსმით არჩეულა. „თავის შვილებს ერთმანერთისაგან. (ამ ორი შვილის გასარჩევი ნიშანი იაკობისთვის ის იყო, რომ ესაბი ბალნიანი იყო და იაკობს კი უფთა კანი ჰქონდა). რებეკამ იცოდა, რომ ისააკი ხელით გასინჯავდა იაკობს და ამისთვისაც ყელზედ და მაჯებზედ შემოახვია თიკნის წალტაკი, რომ უფრო დაჰმგზავსებოდა ესაბს. ისააკმა რომ გასინჯა ხელით იაკობი, სთქვა: „ხმა იაკობისა არის, ხოლო ხელები ესაბისა“. და კიდევ ჰკითხა: „ესაბი ხარ?“ იაკობმა კვალად უპასუხა: „დიახო!“ და მაშინ ისააკმა დაუწყო საჭმელს ჭამა. შემდეგ დაუბერა ახლოს იაკობს და უთხრა: „მოვედ ჩემ-თან, შვილო ჩემო, და მეამბორე (მაკოცე)“. შინ იმან აკურთხა იაკობი და უთხრა: „ღმერთმან ზეცით მომავალი ცვარითა და ქვეყნის ნაყოფიერებით განამრავლოს იფქლი და ღვინო შენი. შენდა მონებად არიან მრავალნი ტომნი, ნათესავნი და მთავარნი თაყვანს გცემენ შენ. წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი და კურთხებული შენი იყოს კურთხეულ“. ბაჯერადვიდა თუ არა იაკობი თავის მამისაგან, იმ ამოს მოვიდა ნადირობიდგან ესაბი. იმან ერთვა თავის მამას იმის საყვარელი საჭმელ-ა და უთხრა: „აღსდექ, მამა ჩემო, და მიერთვი ნანადირევი ძისა შენისა“. ისააკს ძალიან გაუკვირდა, რა გაიგონა თავის პირმშო შვილის ხმა: „ვინ უკვე იყო, რომელმან პირველ შენისა მომართვა და ესჭამე; მე ვაკურთხე იგი და კურთხეულიმც იყოს!“ მაშინ შეწუხებულის ხმით შესძახა ესაბმა: „მამა ჩემო! მეცა მაკურთხე“. მაგრამ მამამ უპასუხა: „შენი ძმა მოვიდა მცბიერობით და წარგტაცა კურთხევა შენი.“ ესაბმა მწარედ დაიწყო ტირილი, ასე რომ თვით ისაკიც შეწუხდა; მაშინ ისაკმა უთხრა დასამშვიდებლად:“ შენც გექმნებიან მრავალ ხალხიანი სოფლები და ცვარი ზეცისა შენც გემსახურება; ხრმლითა შენითა იცხოვრებ შენ და ემსახურებიცა ძმასა შენსა. ბარნა მოვა დრო, ოდეს გარდაგდებ შენ უღელსა მისსა ქედისაგან შენისა.“

ამ დროდგან ესაბმა მოიძულა თავისი ძმა იაკობი და მაგიერის გადახდას ემუქრებოდა მას. „ჯერ ერთი მიიცვალოს მამა ჩემი, მაშინ მე მოვკლავ ჩემ ძმას“—ამბობდა ის. ამის გამო რებეკამ ურჩია იაკობს ქანაანში წასვლა, თავის ძმა—ლაბანთან. ამ გვარად იაკობი იძულებულ იყო განშორებოდა თავის სახლს და წასულიყო თავის ბიძასთან.

საოჯახო ცნობები.

ერთ ნემეცის გაზეთში სწერია, რომ ბევრმა მეოჯახე ნემეცებმა შემოიღეს საქონლის დაუბმელად ყოლა გომში; ამბობენ რომ ასე თავისუფლათ შენახვა ყოველის მხრით სასარგებლოა საქონლისათვისაო.

—ამ ერთი თუ ორი წლის წინ პარიჟში (საფრანგეთის დედა ქალაქია) ახალი ჯიშის სალათა გაჩნდაო. იმ სალათას იქ თურმე დიდი ფასი ადევს, რადგან სასიამოვნო გემოსანია, კარგად ინახება და ტანითაც ეაებაა. ჩვეულებრივ იმის ძირი თითო ექვსი გირვანქა მოდის; ზოგი კი ისეთიც გამოერევა ხოლმე, რომ თორმეტ გირვანქასაც იწონს. იმ სალათას ძალიან ბევრი ფოტოოლი აქვს და ეს ფოტოლები ერთმანერთზე ისე მჭიდროდ არიან მიკრულნი, რომ თუ ოთხად არ გასჭრეს ზევიდგან თავი, სათესლე ღერს არ ამოუშვებენ ხოლმე. ეს სალათა სახით ძალიან ჰგავს კომბოსტოს თავს. ერთი ესა სჭირს ცუდი ზნე, რომ იმის თესლი ერთ ბაზათ არ შემოდის, და ამის გამო თითო თითოდ უნდა მოკრიფონ ხოლმე. ამ სალათას ისეთივე მწარა და მოელა უნდა, როგორიც სხვა ყველაფრის ჯიშსა სჭირდება. იმას თავის ალაგას სთესენ რიგ-რაგად; ერთი რიგი მეორეზე ორი მტკაველის სიშორეზეა, ან ცოტა მეტი. ზამთარში კარგად ინახება, ასე რომ ორმოცი ძირი შეინახეს გრილ სარდაფში და გაზაფხულზედ ორმოც ძირში ოცდა ორი ძირი გამოდგა გაუფუჭებელი; თვრამეტი წამხდარიყო.

—ერთ ნემეცურ გაზეთში სწერენ ერთ უზარ-მაზარ ხახეზედ, რომელიც ახალი ზოლანდიის (ქვეყანაა) ჯიშისა არის. იმის თესლს ჰთესენ დახურულ კელებსი (ფენის რომ ეძახიან ჩვენში), რადგან ცისქვეშ ძნელად მოდის. ამოსულებს გადარგვენ ჩვეულებრივ კელებში, თითო მტკაველის სიშორეზედ ერთმანერთთან. ბადარგვის დროს ღრმად არა რგავენ, რადგან ის ხახვი ზეკით იწვეს. თუ კარგი მიწა შეხვდა—ძალიან დიდი იზდება; თითო ხან ორი, ხან ორ გირვანქაზე მეტი მოდის,—ეს ჩვეულებრივი და ზოგი კი სამსა და ოთხ გირვანქასაც აიწონს ხოლმე. ამ ჯიშის ხახვი ძალიან სათუთია, გემოთიც ძალიან სასიამოვნოა.

— ბაკრეჭილ ცხვარს უფრო ემატება ხორცი, თუ გაუკრეჭავს. ამ საგანზე, ბევრ ნემეცურ და სხვა სამეურნეო გაზეთებში ბევრჯელ ულაპარაკნიათ. ერთ შარშანდელ ნემენცურ სამეურნეო გაზეთში სწერია, რომ ვისმე პაპიგს (ნემეც მეურნეს) ამ უკანასკნელ დროში გამოუცდიეია, თუ რაგვარი დამოკიდულება აქვს ცხერის კრეჭას იმის ხორცთან, ესე იგი როდეს უფრო ემატება ცხვარს ხორცი: როცა გაკრეჭილია—მომინ, თუ როდესაც გაუკრეჭავია. ამ გამოკვლევით იმას შეუტყვია, რომ ოთხი კვირის განმავლობაში გაკრეჭილი ცხვარი თითო სამი გირვანქა ხორცით მეტი მოსულა გაუკრეჭავ ცხვარზედ. ეს გამოკვლევა ამტკიცებს, რომ ცხვრებს თუ გაკრეჭილ შეინახვენ, ხორცი უფრო ემატებათ იმათ. ამ გარემოებას იმათ უნდა მიაქციონ ყურადღება, ვინც საკლავად ჰხრდის ცხვრებს.

— ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ფურისა ან სხვა საქონლის რძეში ერბო ნაკლებად არის ხოლმე; ეს რძის სიმჭლეევ ზოგჯერ რამდენიმე ფურს ერთად დაემართება ხოლმე სენისავით. მსწავლულმა მეურნეებმა ყველაგან დიდი ყურად-ღება მიაპყრეს ამ გარემოებას და ცდილობდნენ საშუალება რამე მოეგონათ ამ რძის თვისების გასაუკეთესებლად. ეველა-

ზე უკეთესი საშუალება ფრანციაში მოიგონეს, რომელსაც ეხლა თითქმის ყველგანა ხმარობენ, სადაც კი ოჯახობას რამე ყურადღებას აპყრობენ. ფრანციის მეოჯახეებმა იციან, რომელ ფურსაც რძე გაუმჭლევდება — შემდეგს წამალს უმზადებენ: იღებენ თოთხმეტ მისხალ გ ო გ ი რ დ ო ვ ა ნ ს უ რ მ ა ს (აფთექაში იკითხე) და ოცდა ერთ მისხალს ქინძის თესლს, ძალიან წმინდათა ჰნაყვენ და კარგად ურევენ ერმანერთში. ამ წამალს ან აბებად აძლევენ რძე გამჭლევებულ საქონელს, ან სასმელში ურიან; ამას გარდა აძლევენ კიდევ სხვა სასმელს. ეს სასმელი შესდგება ერთი ჩარექის მეოთხედი ღვინის ძმრისაგან, ნახევარ ჩარექი წყლისაგან და ერთი ბლუჯი მარილისაგან. სამდღეს ზედი-ზედ ამ სასმელს დილდილით უზმაზედ ასმევენ ხოლმე ფურს (ან კამეჩს). ამ წამლებისაგან რძის გასუქებას მეორე დღესვე შეატყობს კაცი და შემდეგ დღეებში კი უფრო და უფრო კარგი თვისების ძრე უხდება საქონელს. მაგრამ ერთი მსწავლული ინგლისის მეოჯახე ამბობს, რომ ამდენი სურმის ხმარება სასარგებლო არ არისო; თოთხმეტი მისხლის მაგიერად რომ სამ მისხალ ნახევარი სურმა ახმარონ, ისიც ეყოფა ფურსაო.

— ერთ ნემეცის მსწავლულ მებაღეს ერთ გვარი სატაცური მოჰყავს, რომელსაც სიგრძე მტკაველ ნახევარზე მეტი აქვს, და იწონს თითო ოცდა თორმეტ მისხალს. ეს სატაცური იმითია შესანიშნავი კიდევ, რომ სათუთი გემოსია და რბილია თითქმის ძირშიაც. ამბობენ ერთხელ თექვსმეტი ამ სატაცურისაგან მოუმზადებიათ ერთი რამე საჭმელი და ეს საჭმელი თერთმეტ კაცსა ჰყოფნია. უზარმაზარი ტანით და ჩინებული თვისებით აგრეთვე ერთ გვარი ყვავილის კომბოსტოც არის შესანიშნავი. ამ ჯიშისთვის მოვლასა და ხელის შეწყობას მიუცია ესეთი კარგი თვისება და ტანი. ყველა მცენარის გაუკეთესება შეიძლება, თუ კი მებაღე ან მებოსტნე ყურს უგდებს ამას და აურჩევს იმის ხასიათის მიწას, ხელს შეუწყობს და რიგიანათ მოუვლის.

— ერთ ნემეცურ გაზეთში სწერია, ღორებს რომ დრო გამოშვებით საჭმელი გამოუცვალონ ხოლმე, მაშინ იმათ ხორცს მარტო გარეთ მხრისკენ აღარ ექნება მოგროვებული ქონიო, არამედ ქონი და ხორცი რამდენიმე კეცად ექნებათ იმათ რიგზე დაწყობილი, მაგალითად: ჯერ ქონის კეცი, მერე ხორცისა, მერე კიდევ ქონისა, შემდეგ ისევ ხორცისა და სხვა. ამის საცდელად ერთ ნემეცურ სამეურნეო სასწავლებელში ორი ერთი ხნისა და ერთი ჯიშის ღორი აუყვანიათ ღვინობისთვის ნახევრიდგან და ამ გვარად უჭმევიათ იმათთვის: ერთისთვის მუდამ კარტოფილი და მსხვილად დაფქული ქერი უჭმევიათ, ხოლო მეორისთვისაც ისივე საჭმელი უძლევიათ და იმდენივე მაგრამ მარტო ორ კვირას; ამას შემდეგ ორ კვირას კი ცერცვი და ქატო უჭმევიათ, შემდეგ ისევ კარტოფილი და ქერი, მერე ისევ ცერცვი და ქატო და სხვ., და ესე შეუწყვიათ ხელი მანამ ორივეს დაკვლის დრო არ მოსულა. დაუკლავსთ ორივე ერთ დღეს, შობის წინ, და უნახავსთ, რომ იმ ღორს, რომელსაც ერთნაირი საჭმელი ჰქონია, ქონი და ხორცი ისე ჰქონია, როგორც სხვა ღორებს; ხოლო მეორე ღორს, რომელსაც დრო გამოშვებით საჯმელს უცვლიდნენ, იმასკი ქონი და ხორცი კეც—კეცად ჰქონია დაწყობილი, თუმცა კი ოცდა სამი გირვანქით პირველ ღორზედ სუბუქი მოსულა.

სამეცნიერო ამბავი.

შეერთებულს შტატებში ერთი ილლინოისელი არხიტექტორი დარწმუნდა, რომ მთვრალს კაცს მანამ არ გამონელდება ღვინო, სანამ დალეული ღვინის სპირტი სულ ორთქლათ არ ამოიცლებაო იმის ტანიდგან. ტანში სპირტი არ იცვლება, როგორიც მიულია ტანს, იმისთანასვე განუტევებს. მთვრალს სპირტის სუნი იმიტომ აქვს, რომ სპირტი ორთქლათ ამოსდის პირიდგან. ბევრი ტანის სითბო უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მიღებული სპირტი ორთქლათ იქცეს და ტანიდვან ამოვიდეს. ამის გამო კაცს რამდენათაც ცოტა სითბო აქვს ტანში, იმდენათ უფრო დიდხანს გასტანს იმისი სიმთვრალე. თუ ამ ნაირი შეცნევა ამერიკელი მსწავლულისა მართალი გამოდგა, დიდი ამბავი მოხდება; ამიტომ რომ იმისივე აზრით კაცის ტანს უნდა მიეცეს მომეტებული სითბო გარეთიდგან, რომ ღვინოც მალე გამონელდეს. ამ სახით მთვრალის კაცის გამოსაფხიზლებლათ აბანო მისწრება იქნება.—ქვეყანაზედ ღვინის ხარჯი დღითი დღე მატულობს და ღვინის მკეთებელნი, რონ ძალიან მოხერხებული კაცები არ იყვნენ, კიდეც გაგვიკვირდებოდა, საიდგან მოაქვთ ამდენი ღვინო. ზოგნი ცდილობენ ისე შეიმუშაონ ვენახი, რომ რაც შეიძლება ბევრი ყურძენი მოისხას, თუმცა სწავლულებს დიდი ხანია შეუნიშნავთ: რამდენათაც უფრო ბევრს ტევნებს ისხამს ყურძნის ვაზი, იმდენათ უფრო დიდს ძირს იკეთებსო და ეს ძალიან მავნებელია ვაზისთვისაო. ზოგნი ვენახს თავს ანებებენ და ცდილობენ სხვა საგნებიდგან დააყენონ ღვინო. გერმანიაში აკეთებენ იმისთანა შამპანსკის, რომ ერთი წვეთი ყურძნისა არ ურევია შიგ. ამ უკანასკნელს ჟამს ამერიკელებს აზრში მოუვიდათ შამფანსკის კეთება ქვანახშირას ზეთიდგან, რომელსაც სწავლულები პ ე ტ რ ო ლ ს ეძახიან.

მოგზაურთ სადგური უდაბურს მინდორში.

(გაგრძელება)

დააწვა დიდი სევდა საწყალს ჭაბუკსა, რომელმაც მიიხედ-მოიხედა და შენიშნა, რომ სულ უცხო უცნობნი პირნი უდგნენ წინ და იმათში ერთი მხოლოდ ნაცნობი მოხუცი, რომელიც ჩასცქეროდა მას თვალში ალერსით და მონაწილეობით.

წავიდეთ, შვილო ჩემო, უთხრა მან ჭაბუკსა; მე მიყვარდა დედაშენი და იმედი მაქვს ჩვენც ვიქნებით მეგობრები: წავიდეთ, მე გაჩვენებ შენ ყოველსავე, რაც აქ არის: ნახე ყოველივე და ადიდე სიბრძნე და მოწყალება ამ სახლის მეუფისა. ნუ ინაღვლებ შენს დედაზედ; გამიგონე ყველა, რაც გითხრა, და მოვა დრო, როდესაც შენ კიდევ ნახავ იმას.

სტუდენტი გაჰყვა მოხუცსა და დაიარეს ურიცხვენი ოთახნი დიდის სასახლისა და იყო განცვიფრებული მორთულობით, სიმდიდრით და სიმშვენიერით შენობისა. მაღალი ჭერნი ლაჟვარდის ფერნი იყვნენ შეკრულნი თაღებათ და ისე ოსტატურად, თითქო ადიოდნენ პირდაპირ ცაში: იგინი იყვნენ მორთულნი ოქროს და ვერცხლის ვარსკვლავებით და მსუბუქნი ღრუბელნი იყვნენ გაფენილნი აქა-იქ ხელით ჩინებულის ხუროთ მოძღვრისა. კედლები მათნი თითქმის სრულიად სჩანდნენ; ისინი იყვნენ დაფარულნი მშვენიერის ცხოველის მცენარეებით, ზოგნი მათგანნი ჰყვაოდნენ და ზოგს ესხა ნაყოფი, მათს ტოტებზედ გოგმანებდენ იშვიათნი ქვეყნის მფრინველნი. მშვენიერნი სურათნი, ნახატნი ისეთის ოსტატობით, რომ თვალს ატყუებდნენ. იყვნენ

მრავალნი შადრევანნი, აგრილებდნენ ჰაერსა, სავსეს კეთილ სურნელებით; პოლები იქ�ნენ მოფენილნი ძვირფასის რბილის ხალიჩებით.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ, რაც გაეკეთებინა სახლის პატრონს, იყო მშვენიერი და აჩვენებდა იმის დიდს გონებას და განუზომელს კეთილობას; მაგრამ ერთი რამ იყო იქ განსაცვიფრებელი და შესაზარებელი; მრავალნი იქ მყოფნი სტუმარნი იქცეოდნენ საძაგლათ.

ᲔᲠᲗᲝᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ, დიდს სტოლზედ ოცამდინ კაცი იქამდინ ურიგობდენ, რომ ყმაწვილი სტუდენტი შედგა და განცვიფრებით დაუწყო ყურება ხან მათ და ხან თავის წინამძღოლს კეთილს მოხუცსა. ძვირფასი ღვინო იყო დაღვრილი სტოლზედ და იატაკზედ; ისმოდა მხოლოდ სიმთვრალის უგუნური ლაპარაკი და გინება; ზოგი ერთნი მოლხინეთაგანნი, მთვრალნი იწვნენ სტოლს ქვეშ. ზოგი ერთნი ძლივს სულს ითქმიდნენ გაძღომისაგან, და ჭქონდათ კიდევ ხელი გაშვერილი ძვირფასის სასმელ-საჭმელისკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ! სთქვა შეწუხებით სტუდენტმა, რას ეხედავ მე ამას! ᲕᲘᲗᲐᲠ სამწუხაროდ უნდა იყოს ეს მეუფისათვის ამა სახლისა; ᲔᲘᲗᲐᲠ უგუნურათ იხარჯვის აქ ძვირფასნი ნიჭნი და უხვევანი კეთილის მოქმედისა?

ᲘᲛᲐᲚ ᲐᲠᲐ ᲨᲣᲠᲡ ᲜᲘᲭᲘ, ამისთვის რომ მას იგინი აქეს ურიცხვნი, მიუგო მოხუცმა, მას მხოლოდ ეწყალვის ეს უგუნურნი; ძნელი სანახავია მისთვის ამათი უგუნურობა და გარყვნილი პირნი, და ძნელად გასაგონია ამათი უგუნური ლაპარაკი; იგი ჰსწუხს მხოლოდ მასზედ, რომ ესენი ხმარობენ მის უხვს ნიჭს მისთვის, რომ მიემსგავსონ პირუტყვთა უგუნურთა.

მეორეს ოთახში ნახა სტუდენტმა სანახავი უარესი. ᲘᲥ სტუმრებს მოსვლოდათ ჩხუბი სახლის პატრონის ვერცხლის ბადიებზედ და იქამომდე განცვიფრებულ იყვნენ, რომ არა ღვინო, არამედ სისხლი იღვროდა, როგორც მდინარე: უგუნურთ ეჭირათ დანები, ახჩობდნენ ერთი მეორეს, ქიშპობდენ მასზედ, რომელიც არავის მათგანს არ ეკუთნოდა, რასაც იგინი უნდა მალე დაშორებოდენ საუკუნოდ.

ᲔᲠᲗᲝᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ შენიშნა ყმაწვილმა კაცმა ერთი საზარელი მოხუცი, რომლისაც უგუნურება გარდაემეტებოდა ყოველსავე, რასაც კი კაცი წარმოიდგენს გონებაში: მიხრწნილი, მთრთოლვარე მოხუცი იგი იჯდა კუნკულში, და ცდილობდა დაემალა ხროვა ვერცხლის სტაქნებთა, თასებთა და თეფშებთა. ᲘᲒᲘ თვითმქმის კვდებოდა შიმშილით, მაგრამ მაინც ეშინოდა მოშორებოდა საუნჯესა, რომ იმ დროს არავინ მისულიყო და არ წაეღო იგი.

შეხედე სადამდის ადის კაცის უგუნურება! შეთხრა სტუდენტს ჭაღარა წინამძღოლმა; ხუთის წამის შემდგომ ეს მოხუცი აქ აღარ იქნება; ვერ წაიღებს აქედამ ვერც ერთს თასსა და ვერც თეფშებსა; ყველა აქ უნდა დარჩეს, გარდა მის მოხუცისა, შეხედე როგორ მგელსავით უყურებს ყველას, ვინც ახლოს მიდის იმასთან, როგორ ეშინიან მას, რომ არავინ შეეხოს იმის საუნჯეს.

ᲐᲠᲐ ᲛᲘᲛᲮᲔᲓᲘ მისა, რომ გარეშემო უფლებდა სიმდიდრე და განცხრომა, ყმაწვილმა კაცმა განკვირვებით შენიშნა მრავალი უბედურნი, შიშველნი და მშიერნი კაცნი, რომელნიც შურით უყურებდნენ სანოვაგით სავსე სტოლებსა, რომელზედაც შეექცეოდენ ის უბადრუკნი, და ამათ არ შეუძლიათ გამოიმეტონ მათთვისაც ლუკმა პური. ᲑᲐᲜᲐ ᲔᲡᲔᲜᲘᲪ ᲘᲡᲘᲗᲝᲜᲘ სტუმარნი არ არიან, როგორც სხვანი? ჰკითხა ჭაბუკმა მოხუცსა. ᲓᲘᲐᲮ, ეგენი ისეთნი სტუმარნი არიან, როგორც სხვანი, მაგრამ ხედავ, როგორ ექცევიან მაგათ ისინი. რომელნიც მაგათზედ ძლიერნი არიან. მეუფემ ამ სახლისამ მიანდო სტუმრებს სახლი და შეხედე რასა შვრებიან!

ᲠᲐᲗᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲙᲔ მეუფე აქედგან ურიგოსტუმრებსა, დაუძახა ჭაბუკმა, როგორ აძლევენ იგი ნებას ამდენის უგუნურებისა და უწესოებისას?

ᲫᲔᲚ ᲩᲔᲛᲘ, უთხრა მას მოხუცმა, მეუფეს უყვარს თვისი სტუმრები: იმან იცის, თუ როგორ ბნელი, ცივი და საშინელი ალაგი მიელის ყველას, რომელიც ამ სახლის კედლებს დაშორდება, და ამისთვის ებრალვის ისინი მას, მოელის, რომ იქნება ესენი ოდესმე განკეთილდენ, გამოიცვალონ.

ᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡ მოაგონდა, თუ რას განსაცდელში იყო იგი, თვითონ თოელიან მინდორში და ათრთოლდა შიშით.

მართლად შესაბრალებელნი არიან ესენი უთხრა სტუდენტმა, მაგრამ წავიდეთ მოვაგონოთ მათ, თუ რა იყვნენ უწინ, ანუ რა არიან ეხლა.

ᲠᲘᲗ ᲔᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ სახლის პატრონისადმი, და ბოლოს რა მოელის მათ. სახლის პატრონი გარეკს აქედამ.

ᲙᲐᲠᲒᲘ; მოაგონე მათ, მათნი ვალდებულებანი; შეეწიე მათ, რომელნიც დაჩაგრულ არიან, მაგრამ გახსოვდეს, რომ ბევრს ჰპოებ შენ დაბრკოლებას; ნეტავი იცოდე შენ, თუ როგორ უყვარს თვისნი სტუმარნი მეუფეს სახლისას; მე შენ გიამბობ, რა მოხდა ერთხელ აქა რამდენსამე ხნის წინეთ. როდესაც მეუფემ სახლისამ ნახა, რომ უწესობა საშინლათ განმრავლდა და რომ სტუმართა იწყეს ერთი მეორეს აკლება და ხოცვა, რომ ძლიერნი აიწროებდნენ უძლურთა და ყველამ დაიიწყა მეუფე ამ სახლისა, მაშინ მან გამოგზავნა თავისი მხოლოდ შობილი ძე, რომ მან მოაგონოს მათ თვისნი ვალდებულებანი და უჩვენოს მაგალითი, თუ როგორ უნდა სცხოვრებდენ იგინი.

ᲫᲔ მეუფისა გამოცხადდა აქა წყნარის სტუმრის სახით, ის არა ჯდებოდა სტოლზედ მდიდრებთან, და შეძლებულებთან, არამედ სცხოვრებდა ღარიბთა საზოგადოებაში, შეეწეოდა უბადრუკთა, ჰკურნებდა უსასყიდლოდ სნეულსა, აჭმევდა მშიერთა, ყველას მოაგონებდა მეუფეს სახლისას; მას უნდოდა დახსნა ყველასი გამოურიცხავად იმ საზარელისა მხვედრისაგან, რომელიც მათ მიელოდათ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲜᲘᲡ მყოფობაში აქა, მან არათუ არავის რა აწყენინა, არათუ არავის რა წაართვა, არამედ ეწეოდა ყველას ვინცკი საჭიროებდა მის შემწეობასა. ᲐᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ და არცა არავინ იქმნება იმისთანა, რომელსაც ეცხოვრნოს ქვეყანაზედ იმაზედ წყნარად და მშვიდათ; იმისი სალაპარაკო იყო მხოლოდ სიყვარულზედ, უნდოდა შეერიგებინა ყველა, და ყველანი დაეახლოებინა თავის მამასთან, მაგრამ იცი, რით გარდუხადეს მას ამ გვართა სტუმართა? ᲑᲐᲜᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲣᲚᲗᲐ იმის სიტყვებით, რომელშიაც იყო მრავალი მწარე მათთვის ᲭᲔᲛᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ, იგინი შეკრბენ და მოკლეს იგი მისთვის, რომ იგი, ვითარცა სრული უფალი ყოველისა, სცხოვრებდა აქ, ვითარცა გლახაკი; მისთვის, რომ მას უნდოდა გამოხსნა ყველასი! მოქცევა ისე, როგორც ის იქცეოდა. შენ უეჭველია არ შეგიძლიან, მაგრამ ეცადე, რაც შეგეძლოს, მიბაძო მას.

ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ მოხუცისა ღრმად ჩაენერგა ჭაბუკსა გულში, მშვიდი სახე მეუფის ძისა განუშორებლად იდგა მის თვალ წინ. შეერია

რა ხროვასა შინა გლახაკთა, მოხუცთა ბრმებთა და კოჭლებთა, სტუდენტი ცდილობდა შესწეოდა რითაცკი შეეძლო! დიდ ხანს დასდევდა იგი მოხუცსა, და გადადიოდა ერთის ოთახიდამ მეორეში და ცდილობდა შეერიგებინა უკმაყოფილონი, და მოეგონებინა მათთვის მეუფე სახლისა, რომელიც მათ დაევიწყნათ; იყვნენ იქ იმისთანანი, რომელზედაც იმოქმედეს სიტყვებმა და მაგალითმა ჭაბუკისამ, და კიდეც გამოიცვალნენ ისინი; გარნა იყვნენ იმისთანანიც, რომელთაც ამაყათ შეურაცხებით უარჰყვეს რჩევანი ჭაბუკისა; ზოგი ლანძღვიდენ მას, ზოგნი დასცინოდენ; გამოსჩნდნენ სტუმრებში იმისთანანიც, რომელნიც უქნევდენ ჭაბუკსა, რაც მოხვდებოდათ ხელში და უნდოდათ დაკვრა მისთვის თავში, ანუ სხეულზედ; ესრედ ღრმათ სწყლავდა მათ სიტყვა ჭეშმარიტებისა! და როდესაც ჭაბუკი მოინდომებდა ხოლმე მაგიერის გარდახდასა, მაშინ მოხუცი მოაგონებდა ხოლმე თვით მას, თუ ვითარ ძემ მეუფისამ თვინიერ დრტვინვისა მოითმინა ცემანი, შეურაცხებანი და თვით სიკვდილი მათგან, ვინც იზრდებოდა იმისის მშობლის უხვობით.

საშინელმა ხმიანობამ ერთს ოთახში მიიზიდა ყურადღება ყმაწვილის სტუდენტისა და მისის თანამოგზაურისა; მათ შეიხედეს იქა და ჰპოვეს სისხლის ღვრის ჩხუბი, სანოვაგით სავსე სტოლი იყო წაქცეული ნამტვრევებს ბადიების და თეფშებისას ეგრეთვე სხვა ვერცხლის ჭურჭელს ქელვიდენ იქ ფეხებით მაჩხუბარნი; ზოგნი აგლეჯდა ერთი მეორეს თმასა, ზოგნი ჰკბენდნენ ერთმანერთს როგორც მგელნი; ყველას ეჭირა ხელში გალესილი დანა; იატაკზედ ეყარნენ ზოგნი დახოცილნი და ზოგნი მძიმეთ დაჭრილნი, რომელნიც კვნესოდნენ საცოდავათ ფეხებ ქვეშ მაჩხუბართა. ჭაბუკმა დაჰკარგა ფერი როდესაც ნახა ეს სამწუხარო სანახავი. ყველაზედ მეტად გული მისი მოსწყლა ერთმა დედაკაცმა, რომელიც იდგა მუხლზედ გაწეწილის თმით, დახეულის და სისხლში გასვრილის ტანისამოსით და ცდილობდა დაეფარა პატარა თვისი შვილები, რომელნიც შეშინებულნი და ფერ მკრთალნი ეკროდენ მას მაგრათ გულში. უბედურს დედას უნდოდა გამოსულიყო როგორმე ოთახიდამ, მაგრამ იქიდამ მოყოლებული კარებამდინ იყვნენ გაბმულნი მაჩხუბარნი, რომელთაც დანები ელავდნენ ჰაერში, და ეშინოდა, რომ ვისიმე მძიმე დანა არ დასცემოდა მისს საყვარელს შვილებს. იგი ყვიროდა ხმა მაღლა და უძახდა სახლის პატრონსა.

ჭაბუკს ეჩვენა, თითქო უხილავმა ხმამ უთხრა მას: „წადი და უშველე!“ მან ბევრი აღარ იფიქრა; გავლო ხროვა მაჩხუბართა, და ვერა შემნიშნავმა, თუ რა რიგათ სცვიოდენ ამის ტანზედ დანები, მივიდა საწყალს დედასთან და გამოიყვანა იგი მისის პატარას შვილებით.

როდესაც იგი იყო მეორეს ოთახში, მაშინ გამოხსნილი სტუდენტისაგან დედაკაცი მივარდა, დაეცა იმის მუხლის წინ, და მიიკრა რა შვილები გულზედ, ცრემლიანი, ეუბნებოდა მას მადლობას, მოხუცი, წინამძღოლი ყმაწვილის კაცისა, იდგა იქა და უყურებდა მას ალერსიანად და ბოლოს მღვიძარებით უთხრა მას: შენ შეასრულე შენი საქმე, ახლა შეგიძლიან დაიძინო მოსვენებით.

იმ წამში სტუდენტმა იგრძნო ძლიერი ტკივილი გულში, და როდესაც დაიხედა გულზედ, რომ მისის განიერის დაჭრილობისაგან გადმოდიოდა ნაკადული ცხელის სისხლისა, იმ დროს მუხლი მოეკვეთა მას და უთოვოთ დაეცემოდა იატაკზედ, თუ რომ ის არ დაეჭირა მოხუცსა და არ მიესვენა თავის განიერ გულზედ.

„მე ვკვდები,“ იფიქრა ყმაწყილმა კაცმა და იმ წამში დაინახა თავის წინ ფრთოვანი ჭაბუკი განსაცვიფრებელის მშვენიერებისა, ჩაცმული სპეტაკის თეთრის ტანისამოსით. ფრთოვანი ჭაბუკი უმვერდა ყმაწვილს კაცსა ხელსა და ეუბნებოდა: „შენ შეასრულე შენი საქმე, ეხლა წამომყევ მე, მეუფე სახლისა მიგიწოდს შენ!“

გამოუთქმელმა სასიამოვნო გრძნობამ დაუარა ძარღვებში ყმაწვილს მომაკვდავსა, იგი აკანკალდა და დაიყვირა სიხარულის ხმით, დაიყვირა და..... გამოეღვიძა!

მის წინ ნაცვლად ანგელოზისა იდგა მისი კეთილი დაჲ, დაეჭირა იმისი ხელები; თავი მისი იდო გულზედ მამისა, მოხუცებულის მღვდლისა; ხოლო დედა მისი ორის პატარა ვაჟით იდგა მუხლზედ ხატის წინ და ევედრებოდა ღმერთსა, რომ მან დაუბრუნოს მას უფროსი საყვარელი შვილი. სტოლზედ, რომელიც იდგა ხატების წინ და ენთო კანდელი, იდო დაბადება გაცვეთილის ხავერდის ყდიანი.

მადლობა ღმერთსა, ძლივს არ მოეგე გონებას, დაიყვირა დამ, როდესაც შეხედა რომ მისმა სასურველმა ძმამ გაახილა თვალები!

საჭიროა აქ აღწერა თუ რა უწყერელს-ალტალებაში იყვნენ იმ დროს დანარჩენნი მისნი მახლობელნი?

ყმაწვილი კაცი, როდესაც მიდიოდა თოვლიან მინდორში, დასუსტდა და დაეცა; ის; უეჭველია, იქ უნდა დაღუპულ იყო, მაგრამ იმ დროს ერთმა გლეხმა კაცმა, რომელიც მიდიოდა იმავ დღით მარხილით ნახა ისა და როდესაც სცნო გრძნობა დაკარგულს ყმაწვილს კაცში შვილი თვისის მრევლის მღვდლისა, ჩასდო იგი მარხილში და მიუტანა პირდაპირ მის მამას, და იმ დროდგან ერთის საათის განმავლობაში მოჰყავდათ იგი გრძნობაში სრულიად მისთა მახლობელთა.

ყმაწვილმა სტუდენტმა იმის შემდგომ დიდხანს იცოცხლა. მაგრამ არაოდეს არ დაუვიწყნია თავისი სიზმარი: მას ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ ეს სოფელი არის მხოლოდ სტუმართ სადგური, რომელსაც კარს გარეთ მიგველის ჩვენ მისი უხილავი პატრონი.

დაასრულა რა კურსი სემინარიისა, სტუდენტი ეკურთხა მღვდლათ და იყო კეთილის მოქმედი თვისის მრევლისა. ყოველი უბედური, ღარიბი და მახლობელი უყურებდა მას, ვითარცა საკუთარს მშობელსა; მას არა ჰშურდა უკანასკნელი გროში კეთილის საქმისათვის, და თუმცა იყო თითონაც ღარიბი, მაგრამ არა რაჲ შურდა, რაც გააჩნდა. როდესაც სხვანი აყვედრიდენ მას მისს უგუნურს უხვებას, მაშინ იგი მიუგებდა ხოლმე მათ: ესე ყოველივე არც ჩემია, არც შენი; ყოველივე ესე ეკუთვნის მეუფეს ქვეყნისასა; ჩვენ აქ ყველანი ვართ სტუმარნი და უნდა ვშველოდეთ ერთი მეორეს.

აი ასე ძლიერათ ჩაებეჭდა ჭაბუკსა სულში ის სიზმარი.

სხვა და სხვა ამბავი.

ვენაში რომ სამეურნეო საზოგადოებაა, იმან საჭიროთ დაინახა, რომ ღარიბის დედმამის ქალებისათვის იმისთანა სასწავლებელი გააკეთონ, რომ იქ მიიღონ ქალებმა ისეთი სწავლა, რომელიც გამოსადეგი იქნება იმათთვის ოჯახობაში. ამ სასწავლებლის დანიშნულება ის იქნება, რომ ქალებს ასწავლონ რიგიანი ოჯახობა და მართვა მამულისა იმ

წესით, როგორსაც გვიჩვენებს სამეურნეო მეცნიერება. ამის გამო განიზრახეს, რომ ქალებს დააწყებინონ ყველა მეცნიერების სწავლა, რაიცა შეეხება შინაურს ოჯახობას და აგრეთვე ერცელს მეურნეობას.

სასწავლებელში ორ-ორი წელიწადი უნდა გაატარონ ხოლმე ქალებმა. პირველს წელიწადს ასწავლიან შინაურს ოჯახობას დარიგებით და საქმით; დარიგებასთან თვითონ ქალმაც უნდა იოჯახოს სასწავლებელში. ერთი სიტყვით ყოველიფერი უნდა აკეთოს, რაც შინაურს ოჯახობაშია საკეთებელი.

მეორე წელიწადს საზოგადო მეურნეობის სწავლას დააწყებინებენ: ამასაც როგორც დარიგებით, ისე საქმის ჩვენებით. რომელნიც მესამე წელიწადს დარჩებიან, იმათ მხოლოდ გამოცდილის კაცის ყურადღების ქვეშ უნდა იოჯახონ ისე, როგორც სამეურნეო მეცნიერების წესი მოითხოვს. სწავლა უნდა დაიწყონ ხოლმე ოკტომბრიდგან და შუამარიამობის თვემდის ასწავლონ. მხოლოდ აღდგომისა და შობის კვირაებში არ იქმნება სწავლა. თითო ქალს განათლებისათვის, ზოგიერთ ძალიან საჭირო წიგნებისთვის და რჩენისთვის სთხოვენ წელიწადში თვრამეტს თუმნამდის. ტანთ-საცმელი ქალებს თავისი უნდა ჰქონდესთ. რამდენიმე ღარიბი ქალი უნდათ მუქთათ გაზარდონ ხოლმე. ამათ აღზრდიან ან თვითონ სასწავლებელის შემოსაელით, ან იმათი ხარჯით, რომელნიც სასწავლებელს დააფუძნებენ. სასწავლებელის მთავრობამ უნდა დაწესოს კამიტეტი, რომელიც ხუთი კაცისგან იქმნება შემდგარი: ამათში სამი დედაკაცი იქმნება და სამი მამაკაცი. სასწავლებელის მართვა ერთს დირექტორს მიენდობა, რომელიც თვითონვე დაუწყებს დაწერილებით სამეურნეო მეცნიერების სწავლებას და ამასთანავე სასწავლებელის მამულიც იმან უნდა მმართოს. ქალების ზნეობით აღზრდა, შინაური ოჯახობის სწავლება და სამზარეულოში საჭმლის კეთებაზე ყურადღება უნდა მიენდოს ქალს-მასწავლებელს. იმან უნდა ასწავლოს ანგარიში და გეოგრაფია (ქვეყნის ლწერა). ექიმობა სამზარეულოს საქმეების შესახებ სწავლა და სხვა მოხელეობითი მეცნიერება უნდა უკითხოს პროფესორმა (სწავლულმა მოძღვარმა). იქვე ბაღში მებაღე იდგომება და ის დაუწყებს სწავლებას, თუ როგორ უნდა ბაღის და ბოსტნის კეთება, ან ვენახისა, აბრეშუმისა და ფუთკრის მოვლა როგორ უნდა. ყოველს წლის გასულს ქალებს გამოსცდიან და სწავლისამებრ დირექტორი და კამიტეტი თითოეულს მისცემს ღირსეულს წერილობითს მოწმობას. ამ სასწავლებელის ფული ხელის მოწერით უნდა მოაგროვონ. ამას გარდა იმედი აქვთ, რომ მთავრობაც შეეწევა, ხალხი და სამეურნეო საზოგადოებაცა.

არითმეტიკა.

ათი რიცხვის ვარჯიშობით ყმაწვილებმა დასდეს თვისშორის საფუძველი არითმეტიკისა. უმთავრესი გაჭირება იმათ თავიდგან მოიცილეს. ყმაწვილებმა იციან მხოლოდ 1—დგან 10—მდის. ეს ცოდნა სიერცით ბევრი არ არა არისრა. მაგრამ რაც იციან საფუძვლიანათ იციან და შეუძლიან ყოველნაირი აღრიცხვა მოახდენონ ამა ათი რიცხვით. აბა რა სარგებლობა იქნებოდა,რომ ყმაწვილს ათასამდი სცოდნოდა თელა და იგი წერა და ცხრის გაყოფვა თანასწორ ნაწილებათ ვერ შესძლებოდა.

მასწავლებელთა უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება იმას, რომ თვითონვე შეთხზონ შესაფერი ტემები და ავარჯიშონ ყმაწვილის გონება. ამ სახით თვითონ მასწავლებლებიც უფრო განვითარდებიან და მოწაფეთაც უფრო და უფრო აეხილება ჭკუა გონება.

ესეც უნდა ეთქვათ, რომ ახალი რიცხვის სწავლა მანამ არ უნდა დაწყებინონ, სანამ გაკვეთილს რიცხვებს და იმათ დამოკიდებულებას ერთმანეთში კარგათ არ შეიგნებენ და არ გაიბეჯითებენ მოწაფენი.

ახლის დაწყებამდის კარგი იქნება რომ რაც უსწავლიათ, ის რამდენჯერმე განიმეორონ ყმაწვილებმა ზეპირ ვარჯიშობით და აგრეთვე წერითაც. ამ ვარჯიშობის დროს ყმაწვილებმა თვითონ უნდა გააკეთონ იმ გვარი სქემები, რომელნიც წინათ იყო ნაჩვენები.

დასწავლა რიცხვთა ათიდგან ასამდე.

1. ამ რიცხვების დასასწავლათ და კარგა გასაბეჯითებლათ უნდა იხმარონ იგივე ქვები, კაკლები, ჯოხები, და კაპეიკები და სხვა, რომელთაც ეხმარებიდით წინათ.

2. რიცხვი უნდა დაიწყოს ხოლმე რამდენიმე ხვავათ გაყოფილი და როცა შეატყობს მასწავლებელი, რომ ყმაწვილები კარგად ეჩვევიენ ამ გვარს ვარჯიშობას, მაშინ მასწავლებელმა ძალიან ცოტა დრო უნდა მოახმაროონ ამისთანა ვარჯიშობას. ტემები უფრო ზეპირათ უნდა ახსნევინონ, ხოლო სქემები კი აწერინონ ხოლმე.

3. ტემები ძალიან მრავალ გვარი უნდა მისცენ ხოლმე ყმაწვილებს ასახსნელათ, მაგრამ ისინი უნდა იყვენენ შედგენილნი იქიდგანრაც ნასწავლი აქვთ ყმაწვილებს, რომ ამ ღონისძიებით მოწაფენი თვითონვე მიეჩვევენენ ტემების შედგენას. მინც მალე ახსნის მიცემულს ტემას, იმას მასწავლებელმა ჯილდოთ უნდა შეადგენინოს ტემა და მიაცემინოს სხვა შეგირდებისთვის ასახსნელათ. მეტი არ შეიძლება, ისე იამება მოწაფეს ესა, ამიტომ რომ ის ამ შემთხვევაში სხვების მასწავლებლათ ჰხდება.

რიცხვი თერთმეტი

წინათ რა რიცხვი განვიხილეთ?—რიცხვი 10.—იმის შემდეგი რიცხვი რამდენი ერთეულით იქმნება იმაზე მეტი?—ერთი ერთეულითა. უნდა დაიხსოვნოთ სამუდამოთ, რომ ყოველი რიცხვი, თავის წინა რიცხვზე მხოლოდ ერთეულით არის ხოლმე მეტი. ათის შემდეგს რიცხვს ეწოდება თერთმეტი, ერთმეტი, ესე იგი ათზე ერთით მეტი.—

აქ 10 ქვა არის; ერთი რომ კიდევ მიუმატო რამდენი იქმნება?

ქვები უნდა დაიწყონ რამდენიმე ხვავათ და უნდა ავარჯიშოთ მოწაფენი მიმატებაში და გამოკლებაში.

ხმა მაღლა დაითვალეთ რამდენს ხაზს გავავლებ ფიცარზე. ახლა მე თითოს ხაზს წავშლი და თქვენ გამოითვალეთ რამდენი დარჩება ყოველ ხაზის წაშლაზე.

აქ რამდენი ხაზია ახლა?—2.—ორს კიდევ ხუთი მოვუმატე რამდენი შეიქმნა?—ძიდევ ორი,—კიდევ ორი, ორი და ერთი რამდენი შეიქმნა?—4-ჯერ ორი გამოაკლე რამდენია?—ახლა სამსამს ხაზს დავსვამ. სამი—სამი—სამი და ორი, რამდენია?—სამი წაშალე, კიდევ წაშალე სამი და ერთი ხაზი, რამდენი დარჩება?—ოთხი ხაზი, ოთხი და კიდევ სამი რამდენია?—ოთხი და სამი გამოაკლე, რა დარჩება? (შემდეგ ხუთ-ხუთი ხაზი, ექვსი, შვიდი რვა, ცხრა და ათი უნდა გამოაკლოს ხოლმე მასწავლებელმა); მერე რასაც აქამომდე ხაზებით ვარჯიშობდნენ,

ყველანი ზეპირათ უნდა განიმეორონ ყმაწვილებმა მასწავლებელისავე ხელსმძღვანელობით. იმან უნდა ჰკითხოს ხოლმე მარტო რიცხვითნი დამოკიდებულებანი ერთმანეთში. (ხაზები და სხვა რამე საგნების ხმარება საჭირო არ არის).

თერთმეტჯერ რომ ერთი კაპეიკი მოგცე, რამდენი იქმნება? ხუთჯერ რომ ორი კაპეიკი მოგცე, მაშინ თერთმეტს რამდენი ეკლება?—ერთი კაპეიკი თერთმეტში რამდენჯერ იმყოფება?

ვაჭარმა მოიგო სამი მანეთი, ორი და ექვსი; დახარჯა ოთხი და ხუთი მანეთი, რა დარჩებოდა?—ყმაწვილსა აქვს შაური და ორი სამკაპეიკიანი; ყიდულობს რვეულს ორშაურათ, მეწვრილმანემ რამდენი უნდა დაუბრუნოს უკან.

— პოტეს ერთი კალამი აქვს, პეტრეს თერთმეტი, პოტეს რამდენით ნაკლები აქვს პეტრეზე? უზალთუნი და ერთი კაპეიკი თერთმეტს გაუყონ, თითოს რამდენი ხვდება; და თითოს წილი მერამდენე ნაწილი იქმნება თერთმეტისა?

ათი ერთეული ან ათჯერ ერთი ერთად შეადგენს ერთს ათეულს. ათი ერთეული ერთად რომ შევაერთოდ შეიქმნება ერთი ათეული, სხვა ერთეული კი აღარა დარჩება რა?

| | | | | | | | | | | =1 ათეული და 0 ერთეული, ესე იგი ერთი ათეულია და მეტი არაფერი.

რას ნიშნავს 10-ში ციფრი 1?—ნიშნავს ერთს ათეულსა.

რას ნიშნავს ციფრი 0?—ეგ ნიშნავს იმას, რომ ერთეული არ არის?

ათს რომ ერთი კიდევ მიუმატო, ეს ერთი ნულის ადგილს უნდა დაისვას.

| | | | | | | | | |+|=10+1=11.

აქ მარცხნივ ერთი რას ნიშნავს?—ერთს ათეულს.—მარჯვნივ ერთი რაღას ნიშნავს?—ერთს ერთეულს.—რამდენი ერთეული უნდა კიდევ, რომ მეორე ათეულისა შეივსოს?—ერთი ათეული და ერთი, როგორ ითქმის ერთი სიტყვით?—თერთმეტი. რას ნიშნავს თერთმეტი?

წერით

1 : 11=	ერთი თერთმეტში რამდენჯერ იმყოფება?
2 : 11=	5×2 + ხუთჯერ ორს კიდევ რა
3 : 11=	უნდა მიუმატო, რომ თერთმეტი შეიქმნეს?
4 : 11=	3×3 +
5 : 11=	2×4 +
6 : 11=	2×5 +
7 : 11=	1×6 +
8 : 11=	1×7 +
9 : 11=	1×8 +
10 : 11=	1×9 +
	1×10 +

შეადგინეთ თერთმეტი სამ თანასწორ და ერთ უთანასსორო ნაწილიდგან.

შეადგინეთ 11 4 თანასწორ ნაწილიდგან და
4 უთანასწორო ნაწილიდგან.
„ „ 5 — — — — — —
1 — — — — — —
„ „ 4 უთანასწორო ნაწილისმგან
და სხვ.

— რა რიცხვიდგან უნდა გამოაკლო სამჯერ სამი, რომ ორი დარჩეს?—11-დგან რამდენჯერ შეიძლება გამოეკლოს რვის მეოთხედი?—ათეულით ერთზე მეტი რა რიცხვია?—რა განსხვავებაა თერთმეტსა და სამჯერს ორს შუა?

11 კაპეიკში რამდენი უზალთუნია,—შაურია,—სამკაპეიკიანია,—და ორკაპეიანია?—11 მისხალში რამდენი ლოტი და მისხალია? 11 დღე რამდენი კვირაა და დღეა?—11 არშინი რამდენი საჟენი გამოვა?

პავლე დარჩა გზაზე ერთი კვირა და ოთხი დღე; ეს მგზავრობა დაუჯდა თერთმეტი მანეთი, თითო დღეში რამდენი მონდომებია?—ნინომ იმგზავრა და დღეში მანეთს ხარჯავდა, მთელს მგზავრობაში თერთმეტი მანეთი დახარჯა, რამდენი დღე დარჩენილა გზაზე?

სახაზინო განცხადება.

თელავის უეზდის სამმართველომ გადასწყვიტა, რომ ამ წლის 10 სექტემბერს გაჰყიდონ ამავე სამმართველოში თ. იოსებ ჩოლაყაევ-დასანდიეროვის მამული ას თორმეტის დღის სახნავი მიწა, რომელიც ხუთას მანეთათ არის დაფასებული. ვისაც ამ მამულის ყიდვა ჰსურს, ის უნდა გამოცხადდეს დანიშნულს ვადაზე უეზდის სამმართველოში, საცა შეუძლიანთ ნახონ აღწერილობა ამა მამულისა და სხვა იმის შესახები ქაღალდები.

—სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში ამ წლის ცხრა დეკემბერს მოხდება ვაჭრობა იჯარით გასაცემათ საეკლესიო სათიბისა, რომელიც მდებარებს პატარა-ლილოს სოფლის მახლობლად. ის გაიცემა მომავალის წლის პირველ აპრილიდგან; ვისაც ამ სათიბის იჯარით აღება უნდა, შეუძლიანთ მოვიდნენ ვაჭრობის დროს და თან კეთილსაიმედო გირაოებიც უნდა მოიტანონ.

—სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში ამ წლის 14 ოკტომბერს მოხდება ვაჭრობა იჯარით მისაცემათ მომავალის 1-ლს იანვრიდგან საეკლესიო მიწისა სივრცით ოთხმოცდა ცხრა დესეტინა, რომელიც მდებარებს ტფილისის უეზდის სოფლის ნორიოს მახლობლათ. ვისაც ჰსურს ამ მიწის იჯარით აღება, დანიშნულს დროს უნდა გამოცხადდეს და თან კეთილ საიმედო გირაოები უნდა მოიტანოს.

თელავის უეზდის სამმართველომ ამ მარიამობის თვის ოცდა რვას დანიშნა ერთეტაჟიანი ქვითკირის სახლის გაყიდვა მიწით და ეზოთი, რომელიც ეკუთვნის თელავის მცხოვრებს გასპარ ტერ-სარქისოვს და მდებარებს ქალაქს თელავში. ვისაც ამ მამულის ყიდვა უნდა, დანიშნულს ვადაზე უნდა გამოცხადდეს სამმართველოში, საცა შეუძლიანთ ნახონ ყოველგვარი წერილობითნი მოწმობანი, რომელნიც ამ მამულს შეეხებიან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го августа, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი